<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.01.2005, მუხ. 4).

1. კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „g^5“ ქვეპუნქტი:

„g^5) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარდგინებით განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთათვის სწავლის საფასურის სანაცვლოდ სამხედრო სამსახურის გავლის წესსა და პირობებს, ადგენს სამხედრო სამსახურის გავლის სანაცვლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების მოცულობას.“

2. 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ი^1$“ ქვეპუნქტი:

„$ი^1$) საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, უმაღლესი განათლების ნებისმიერ საფეხურზე, სწავლის საფასურის (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის) სანაცვლოდ მოითხოვოს სამხედრო სამსახურის გავლა.“

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 89^8 მუხლი.

„მუხლი 89^8. სტუდენტთათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის ღონისძიებები

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთათვის სწავლის საფასურის სანაცვლოდ სამხედრო სამსახურის გავლის წესი და პირობები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი